საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
სამინისტრო

BATUMI STATE MARITIME ACADEMY
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირება

პროგრამის კატალოგი

აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება: № 27, 26.12.2017 წ.

European Commission
TEMPUS

BATUMI STATE MARITIME ACADEMY
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

სწავლების საფეხური	*პროფესიული*
პროგრამის დასახელება	*სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირება*
კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი	**ნაციონალური :** *პორტის ლოგისტიკის ოპერატორი - მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში* **საერთაშორისო :** *Pearson SRF Level 3 (Georgian Level 4) Diploma in Logistics*
პროგრამის ხელმძღვანელები	*კარინა მელიქჯანიან* *ელ.ფოსტა: k.melikjanyan@bsma.edu.ge*
პროგრამის განხორციელების ადგილი	*ბათუმი, რუსთაველის ქ.№53* *ელ.ფოსტა: info@bsma.edu.ge*
სწავლების ფორმა	*სტაციონარული*
პროგრამის მოცულობა	*69 ECTS*
პროგრამაზე ჩარიცხვის წინა პირობა	*სრული ზოგადი განათლება და პროფესიული ტესტირების შედეგები*
სწავლების ენა	*ქართული*
სწავლების ფორმატი	*ლექცია, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, პრეზენტაცია*

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც შეუძლია აწარმოოს საზღვაო და სახმელეთო გადაზიდვებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება, შეტანა, დამუშავება სპეციალური პროგრამების გამოყენებით.

პროგრამის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებული შეიძენს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს . მიღებული ცოდნისა და შეძენილი უნარების საფუძველზე შეუძლია:

- *დაგეგმოს და განახორციელოს მარაგის საჭირო დონის შენახვისათვის მინიმალური ხარჯები;*
- *გამართოს მოლაპარაკებები მომწოდებლებთან კონტრაქტებთან დაკავშირებით ხარისხის, ხარჯებისა და მიწოდების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;*
- *განახორციელოს საწყობისა და ინვენტარის სისტემების მონიტორინგი და შემოწმება მიწოდების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და მარაგის დონის გასაკონტროლებლად;*
- *განახორციელოს ზედამხედველობა საგზაო ავტოსატრანსპორტო საშუალებებში, მატარებლებში, ხომალდებზე თუ თვითმფრინავებში ტვირთის ჩატვირთვის დროს;*
- *განახორციელოს ჩანაწერები საქონლის გადაადგილების მონიტორინგის მიზნით და უზრუნველყოს დროის ოპტიმალურ მონაკვეთში ხელახალი მომარაგება;*
- *დაამყაროს კავშირი სხვა დეპარტამენტებთან და მომხმარებლებთან საზღვარგარეთ გასატანი საქონლისა და მისი ექსპედირებისათვის წაყენებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;*
- *განახორციელოს ზედამხედველობა შესყიდვის, დასაწყობებისა და დისტრიბუციასთან დაკავშირებული ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციის შენახვაზე;*
- *დაგეგმოს და მართოს ყოველდღიური ოპერაციები;*

პროგრამის სტრუქტურა

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა აითვისოს 69 კრედიტი, აქედან

- *15 ECTS ზოგადი კომპეტენციების განმავითარებელი მოდულები;*
- *54 ECTS საერთო პროფესიული / დარგობრივი მოდულები;*
- *პროგრამის ხანგრძლიობაა 11 თვე.*

დასაქმების სფერო

საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისა და საწარმოო პრაქტიკის გავლის შედეგად კურსდამთავრებულს, რომელსაც მინიჭებულია აქვს მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია პორტების ლოგისტიკაში, შეუძლია დასაქმდეს შემდეგ პოზიციებზე:

- *პორტის ლოჯისტიკის ოპერატორი;*
- *სამგზავრო სისტემების კოორდინატი;*
- *საქონლის მიწოდება ტრანსპორტირების, დასაწყობების და დისტრიბუციის ოპერატორად;*

ადამიანური რესურსი	*საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფენ საზღვაო აკადემიის აკადემიური პერსონალი და დარგის სპეციალისტები.*
მატერიალური რესურსი	*საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მიზნებისა და სწავლის შედეგების ეფექტურობის მისაღწევად საზღვაო აკადემია გამოიყენებს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერებს, პროექტორებს და სადემონსტრაციო მონიტორებს.*
შეფასების სისტემა	*ცოდნის შემოწმების ფორმები, მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები დეტალურად გაწერილია მოდულებში.*

თქვენი წარმატება ჩვენი მისიაა!